ცნობის ფურცელი

№ 2165 — პარასკევი, 30 მაისი — 1896—1903 — ყოველ-დღიური გამოცემა — № 2165

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 მანეთი ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივნისიდან წლის დამლევამდე.

კვირას, 1-ლ ივნისს, ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიაში, გარდახდილ იქმნება განსვენებულის

სოლომონ ნიკოლოზის ძის ლოლაძის

სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი. (2—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის ვ. ს. მუსხელიშვილისა.

(გედევანიშვილის სახლი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. მ. ზუბინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ზ. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხოზოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

მუსხელიშვილი—თვალის ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საჭიროა

დიდის ხნით სადგომი

კერძო საავადმყოფოსათვის. სადგომში უნდა იყოს 12 ოთახი, ყოველ გვარის მოწყობილებით, შემდეგ ქუჩებზე: მიხეილისა, ელისაბედისა, ნიკოლოოზისა კიროჩნის ქუჩამდე. სასურველია, რომ სადგომი განცალკევებული იყოს. ცნობების შეტყობა შეიძლება გედევანიშვილისეულ სამკურნალოში და კბილის ექიმს პიპინაძესთან (მიხეილის ქუჩა, № 81). (5—6.—3)

შაბათს 31 მაისს, საღამოს ხუთ საათზედ,

მოხდება

საზოგადო კრება

სახალხო თეატრის საქმეების გამო. კრება მოხდება სახალხო აუდიტორიაში, ავჭალის ქუჩაზე. განსახილველია წლიური ანგარიში. შემდეგ არჩეული იქნება 12 წევრი სექციისა. (2—უ—1)

საზღვარ-გარეთ

საფრანგეთი (კომბის სამინისტრო). ეხლანდელი სამინისტროს მტრები მარტო კლერიკალები და მონარხისტები არ არიან; ბევრი რესპუბლიკელია, რომ შიშით შეჰყურებს დემოკრატიის გავლენის ზრდას და ამიტომ მეტად უკმაყოფილო არის, რომ კომბის სამინისტროს მჭიდრო კავშირი აქვს დემოკრატიის ნამდვილ წარმომადგენლებთან. მთელი ცდა შეშინებულ ზომიერ რესპუბლიკელებისა იმაზე არის მიმართული, რომ რამე ღონისძიებით ეს კავშირი გასწყვიტონ და მთავრობა ისევ ძველ „კოალიციონურ" მინისტრებს ჩაუგდონ ხელში; რასაკვირველია, ამ კოალიციაში არც ერთი ნამდვილი დემოკრატი არ უნდა იყოს.

კომბის სამინისტროს ებრძვიან აგრეთვე კერძო პირები, რომელნიც მხოლოდ მინისტრის პორტფელზე ოცნებობენ; ამათ მხოლოდ საკუთარი ჯიბე და მადა ამოქმედებს. მიუხედავათ ამ თავისებურ სამთა კავშირისა, კომბის სამინისტროს მდგომარეობა, როგორც სჩანს, უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოს. ვერც საზიზღარმა ცილის-წამებამ, ვერც ხერხიანმა ინტრიგამ და ვერც „სოციალიზმი"-ს შიშმა ვერ გასჭრა. პარლამენტის დიდი უმრავლესობა მხარს აძლევს კომბსა და მის კოლეგებს. აი, რას იწერება ერთი კორესპონდენტი:

„რესპუბლიკელ უმრავლესობის წარმომადგენელნი შეთანხმდნენ პირველ მინისტრთან ორ უმთავრეს კითხვის შესახებ, რომელნიც უნდა განიხილონ ზაფხულის ვაკაციის დაწყებამდე. ეს ორი კითხვაა—ერთი გადასახადი შემოსავლის მიხედვით და მეორე ქალების კონგრეგაციები. გადასახადი შემოსავლის მიხედვით წარმოდგენილი იქნება პრინციპიალურად თვითონ ფინანსთა მინისტრის მიერ: პალატამ აუცილებლად უნდა სცნოს საფრანგეთის ფისკალურ სისტემის ძირითადი რეფორმა. მთავრობის მიერ ასე კითხვის დაყენება ვერ დააკმაყოფილებს ყველა მემარცხნეთ, მაგრამ კომბმა იმდენი მოახერხა, რომ უმრავლესობა თანახმა იქმნება მთავრობის წინადადებისა.

მამაკაცების კონგრეგაციების შემდეგ ქალების 390 კონგრეგაციამაც მიჰმართა მთავრობას ნებართვისათვის. ეს კონგრეგაციები ოთხ კატეგორიად იყოფება: სამასწავლებლო, თავშესაფარი, მხოლოდ ღვთის მმოსავი და ბოლოს შერეული კონგრეგაციები, რომელთა შორის სამისიონეროც არის. მისიონერ ქალთა რიცხვი ორი ათასია.

მთავრობა უარს ეტყვის ყველა სამასწავლებლო კონგრეგაციებს (თავშესაფარებს დასტოვებს). ამ გვარად უნდა დაიხუროს სულ 9800 საკონგრეგაციო სკოლა; 1902-ში დახურეს 3000, ოთხასი სკოლა უკვე საერო გახადეს; დარჩა კიდევ 6400, რომელთაგან 2000-ს უკვე უარი უთხრეს და 4800-ის თხოვნა განიხილეს; რვაასი სკოლა დროებით არის დატოვებული, რადგან იმ სოფლებში არ არის საკმაო საერო სკოლები, რომ მოსწავლენი მოათავსონ. 1600 სკოლის თხოვნა განუხილველია.

არც ერთი საკონგრეგაციო სკოლა არ დარჩება—ყველას დახურვენ და სამინისტრო მიიღებს საჭირო ღონისძიებას, რომ ხსენებულ სკოლების მოსწავლეთ უშოვონ საკმაო სასკოლო სახლები და მასწავლებლები. მთავრობის ანგარიშით, ოთხი ათას საკონგრეგაციო სკოლისათვის, რომელიც ამ წლის განმავლობაში უნდა დახურონ, საჭირო იქნება სულ 1350 ახალი მასწავლებელი, რასაც მოუნდება ერთი მილიონი ფრანკი; ამას უნდა მიუმატოთ 400 ათასი ფრანკი, რომელიც დასჭირდება უკვე დახურულ 1650 სკოლას. აი, ეს არის ის 50 მილიონი ფრანკი, რომელზედაც ამდენს ჰყვიროდნენ რეაქციონერები.

რესპუბლიკელ უმრავლესობის წარმომადგენელთა და სამინისტროს შეთანხმებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე: ყველა დარწმუნდა, რომ უმრავლესობის სურვილია შეძლება მისცენ კომბს ბოლომდე მიიყვანოს კონგრეგაციებთან ბრძოლა. ამიტომაც არის, რომ სამინისტროს კრიზისზე ეხლა აღარ ლაპარაკობენ". ჟორჟ კლემანსო სწერს ამ შეთანხმების გამო: „კლერიკალები ვეღარ მალავენ თავიანთ შეწუხებას მინისტრ-პრეზიდენტისა და მემარცხენეთა შეთანხმების გამო. ზომიერები, როიალისტები და იმპერიალისტები დაიმედებულნი იყვნენ, რომ მარჯვენა მხარე რესპუბლიკელ უმრავლესობისა სამინისტროს გადა-

ფელეტონი

ლაშარის ჯვარის დღეობა ანუ ლაშარობა

ლაშარობა იგივე გიორგობაა, ხოლო იმის უმთავრესი დღეობა პეტრე-პავლობა. ე. ი. 29 ივნისს მოდის და სამს დღეს გასტანს. არც ერთს სხვა ფშაურს „ხატს" ანუ სალოცავს იმდენი მლოცავი არა ჰყავს, რამდენიც ლაშარის ჯვარს. ფშავლებ..ს გარდა თქვენ აქ ჰხედავთ თუშებს, ქისტებს და ბარელ ქართველებს; ბარელნი თითქმის ორასის ვერსის მანძილიდან მოდიან ლაშარში სალოცავად თავიანთ ცოლ-შვილით უგზო-გზით, მრავალის ტანჯვის მტვირთველნი. ამათ რაღა ძალა აღგიათ, აუტკივარს თავს რისთვის იტკივებენო,—რატომ არ იკითხავთ? იკითხავთ, თუმცა ტყუილად, ვინაიდან ისინიც ლაშარის ჯვარს, როგორც ადგილობრივი ფშავლები, მამა-პაპის სალოცავად, თავის ხატად და ბატონ-პატრონად სთვლიან. ამისი გაგება და შეგნება არც ძნელია: თუ თავდაპირველად მშობელი დედა და აკვანი მთისა ბარი იყო, დროთა ვითარებისა და ისტორიულ მიზეზებისა გამო, მთასაც ბევრჯელ ჰხვდა წილად დედობა და აკვნობა გაეწია ბარისათვის; მტრისაგან დაწიოკებულნი, შევიწროებულნი ბარელნი ხშირად ივლტოდნენ მთებში, როგორც ციხე-სიმაგრეში თავის დასაფარავად; ეგრეთვე მთიდან ეკონომიურ პირობებისა გამო, იძულებულნი აფარებდნენ თავს ბარის მდიდარ და უხვ კალთას. ხოლო ლაშარის ჯვარის ბინა შეუცვლელი დარჩა დღემდე; გადასახლებულთ აქედან ნიშები*) აქვთ შეუცვლელი და დღესაც მიაქვთ, მაგრამ ეს მთელი ლაშარის ჯვრის გადასახლებას არ მოასწავებს; არ მოასწავებს აგრეთვე იმას, თუ მუდამ წელს არა, ორ წელში ერთხელ მაინც „ყმა" თავის „ბატონს" არ ეახლოს კარზე ძღვნით, საკლავით და საწირავით.

მაშასადამე, დაჭეშმარიტებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბარით მომდინარი დღეს ლაშარში მლოცავები ძველად ბარში გადასახლებული ფშავლები არიან, უკვე „გაკახებულნი", ფშავლები ამათ კახებს ეძახიან. ჩვენ ვიცით კახეთში, გაღმა მხარეში, სხვათა შორის, ორი სოფელი, დამამტკიცებელი ჩვენის აზრისა: სოფელი ფშაველი და ყვარელი; პირველი თავის ვინაობას თვითონვე გვეუბნება, ხოლო მეორის სეხნია—სოფ. ყვარა დღესაცაა ფშავში სოფლად და იმიტომ არც საკვირველია, რომ ბარელთაგანი მლოცავი ლაშარის ჯვარს ამ სოფლიდან უფრო მეტი ჰყავს. ბარელების ლაშარის ჯვარში სალოცავად სიარულის მიზეზი ნათესაობაა მთის ხალხთან. არის კიდევ სხვა მიზეზიც, რის გამოც უცხო თემი უცხო თემის სალოცავს ლოცულობს. ამაზე ზოგიერთი ხალხური ლექსიც გვითითებს, ლექსებს ზეპირ გადმოცემანიც ემოწმებიან. არა გვაქვს, მაგალითად, არავითარი საბუთი თუშებს ფშავლებთან ჩამომავლობით ნათესაობა წავართვათ. მაგრამ თუ ყური დაუგდეთ ძველს თქმულებას, თუშებისაგან ლაშარის ჯვარის თაყვანისცემას სრულიად სხვა სარჩული ედება, სხვა აზრი იბადება...

ხან და ხან ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში გამოერეოდა იმისთანა შავი და ბნელი ხანა, როდესაც ფშავლები ხევსურებს არბევდნენ, ხევსურნი ფშავლებს და ეგრეთვე თუშები ვისზედაცა-კი ხელი მიუწვდებოდათ. ფშავლებს შორისაც, რომელნიც თორმეტ თემად იყვნენ, თემი თემს არ ინდობდა გასაჟლეტად, გასაძევებლად. აი, ამისთანა უბედურს და უკულმართს დროში იბადება თუშეთში უკუღმართის ფიქრისა და ზნის გმირი, თუ შეიძლება ასე უწოდოთ იმას, ვინმე თილისძე; იგი აგროვებს თუშების ლაშქარს და მოდის ფშავლების დასარბევ-დასაბეგრავად. მისი უბედური წადილი უბედურად თავდება. თუშები დამარცხდნენ და თვით თილისძე შერცხვენილ-გაწბილებული დაბრუნდა თუშეთში ს. ხოშარიდან.

„თუშნო, ხოშარს ნუ წახვალთ:
„ხოშარა ქედიანია,
„იქ სამნი მგელნი ბუდობენ,
„სამნივე ლეკვიანნია;
„თუ წახვალთ, ვეღარ ამოხვალთ:
„გიორგი *) კუდიანია **)".

თუშებმა და იმათმა ბელადმა თილისძემ თავიანთი დამარცხება და ფშავლების გამარჯვება ლაშარის ჯვარს დააბრალეს. თილისძემ, შეიგნო რა ძალა ლაშარის ჯვარისა, მეორე წელსვე განიზრახა იმისი მომადლიერება; იგი მოდის დღეობაში და თან ძღვნად ლაშარის-ჯვარისა ანუ „სამხვეწროდ" მოჰყავს „თეთრა ქორაი" ხარი. ამ ამბავს ხალხური ლექსი ასე აგვიწერს.

ლაშარს მოვიდა თილისძე,
გულ-დიდად დაჯდა კარია.

---

*) ნიშანი, წმინდა ადგილიდან აღებული ქვა.

*) წმინდა გიორგი.—ლაშარის ჯვარი.

**) იღბლიანი.

უდგებოდა. მაგრამ ეს მშვენიერი ოცნება კლერიკალ-რეაქციონურ უმრავლესობისა, რომელსაც იმედი ჰქონდა პაპის პომხრე სამინისტროს შედგენისა, არ ასრულდება არც დღეს, არც ხვალ.“

ბალკანეთი. ევროპის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ნაჩევიჩის მისიას: „ნიჭიერი და დიდათ გამოცდილი ბოლგარელი დიპლომატი სცდილობს შეაგონოს ბრწყინვალე პორტას, რომ მაკედონიას თვით-მმართველობა მიანიჭონ. ნაჩევიჩმა ერთობ მძიმე საქმეს მოჰკიდა ხელი—პორტამ თავის ნებით უნდა ჰქნას ის, რაზედაც ბერლინის კონგრესიდან დაწყებული ცივ უარს ამბობდა. რაც აქამდე ცნობები მოსულა ამ მისიის შესახებ, ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ბოლგარელ დიპლომატის გაბედული განზრახვა შეიძლება განხორციელდეს. ჯერ კონსტანტინეპოლში წასვლამდე ჰქონდა თათბირი ნაჩევიჩს ოსმალეთის წარმომადგენელთან სოფიაში; კონსტანტინეპოლში ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა დიდ-ვეზირთან, იყო რუსეთის ელჩთანაც და სულთანმაც უნდა მიიღოს.

ნაჩევიჩის აზრით, ერთად-ერთი საშუალება მაკედონიაში მშვიდობიანობის დამყარებისა ის არის, რომ არეულობის და უწესოების პასუხის გება უნდა აკისრონ ყველა მცხოვრებთ, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მცხოვრებთ უფლება ექნებათ პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ თვით-მმართველობაში. საშუალება ერთობ მარტივია, მაგრამ შეიძლება, ამიტომ იგი უფრო ადვილად მიიღონ ოსმალეთის მთავრობის წრეებმა, ვიდრე ევროპის დიპლომატების მიერ შემუშავებული და შედგენილი რთული პროექტი.

ნაჩევიჩი მეტად გამოცდილი დიპლომატია, კარგად იცნობს აღმოსავლეთის პოლიტიკის ხასიათს და ამიტომ მოსალოდნელია, რომ არსებითი რამ მოჰყვეს იმის ცდას. მან კარგად იცის, თუ რითი გამოიწვიოს ოსმალეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა ნდობა: ნაჩევიჩს არ მიუმართავს დახმარებისათვის არც ერთ სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის და პირდაპირ პორტასთან დაიჭირა საქმე, დიპლომატის ასეთმა ქცევამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კონსტანტინეპოლში. ნაჩევიჩმა პირველივე ნაბიჯით შეიძინა გული პორტასი—უჩვენა, რომ მაკედონიის კითხვის გადაწყვეტა ოსმალეთის მთავრობის ხელშია და არა ევროპის სახელმწიფოებისა.

ამ გვარად ნაჩევიჩის მისიას დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი შედეგიდან არის დამოკიდებული მაკედონიის კითხვის ბედიც. თუ ბოლგარელ დიპლომატის შეგონებით პორტა ავტონომიას მიანიჭებს მაკედონიას, მშვიდობიანობაც დამყარდება. თუ ეს არ მოხდა, მაკედონიის საქმე კიდევ უფრო გართულდება უმთავრესად იმიტომ, რომ ბოლგარია იძულებული იქნება პირდაპირ ჩაერიოს მაკედონიის საქმეებში, თუ სურს შეირჩინოს ის მდგომარეობა, რომელიც აქამდე ჰქონდა“.

ასე მსჯელობს ერთი გაზეთი ნაჩევიჩის მისიის მნიშვნელობის გამო.

ახალი ამბავი

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას მოუვიდა წერილი **ს.-პეტერბურგის სატეხნიკო** და საპროფესიონალო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან. საზოგადოება სთხოვს გამგეობას, შეატყობინოს რამდენი სასწავლებელი აქვს ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობას, ვისი ხარჯით ინახება ეს სასწავლებლები, რამდენია მოსწავლე და სხვ. გამგეობას სთხოვენ აგრეთვე გაუგზავნოს პროგრამები, გეგმა სწავლისა, წესდებანი და სხვ.

✦ როგორც ლაგოდეხიდან გვატყობინებენ, 24 მაისს იქ საკმაოდ **ძლიერ იძრა თურმე მიწა.**

✦ 28 მაისს **კრება ჰქონდა სამკურნალო საზოგადოებას.** კრებამ განიხილა განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება ნატახტარის წყაროების შესახებ. როგორც ვუწყით, ქალაქის გამგეობა კარგა ხანია ამ წყაროებს უტრიალებს. ჰგზავნა კომისიები გამოსაკვლევად, მაგრამ დაჭეშმარიტებით ვერაფერი გაიგო და შეიტყო. ბოლოს საქმე სამკურნალო საზოგადოებას მიანდო. ამ საზოგადოების კომისიას გამოსადეგრად უცვნია ნატახტარის წყაროები. კრებამ მოისმინა მოხსენება და დაეთანხმა კომისიის აზრს.

✦ **ქალაქი ოზურგეთი**, როგორც „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულშია“ გამოქვეყნებული, გაანთავისუფლეს იმ ფულისაგან, რომელიც პოლიციის შესანახად უნდა შეეტანა.

✦ დღეისთვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოს მუშად ნამყოფის სენაკის მაზრის მცხოვრების სამსონ მიქაძისა, რომელსაც **დედის უფროსის შვილიშვილის** მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

✦ 18 მაისს პეტერბურგის **სატყეო ინსტიტუტმა** იდღესასწაულა დაარსების ასის წლის შესრულება. ინსტიტუტს მრავალი მისალოცი ადრესი და დეპეშა მისვლია. სხვათა შორის, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სახელით ინსტიტუტისათვის მიულოცნია ბ-ნ ვერმიშევს.

✦ დღეისთვის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საჩივარი **შლიუშენსკის მემკვიდრეებისა**, რომელნიც თავ. კ. მუხრან-ბატონის მემკვიდრეებს 99,000 მანეთს ედავებიან.

✦ 16 ივნისიდან, როგორც „ნ. ო.“-ს გაუგია, შეუდგებიან თელავსა და ენისელს შუა **ალაზანზე ხიდის აგებას.** სიგრძე ხიდს 40 საჟენი ექმნება.

✦ 31 მაისს სახალხო თეატრის დარბაზში, ავჭალის ქუჩაზე, მოხდება კრება **სახალხო თეატრის** ანგარიშის განსახილველად და სექციის 12 წევრის ამოსარჩევად.

✦ როგორც „კავ.“ სწერს, აზრადა აქვთ **სატელეგრაფო სადგური** ტფილისის ვოგზლიდან რკინის გზის გამგეობის სადგომში გადაიტანონ.

✦ როგორც „ჩერნ. ვეს.“-ში ვკითხულობთ, **ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრის** არჩევის დროს ყუთს დაიდგამს აგრეთვე ბ-ნი ვერმიშევი.

✦ 26 მაისს **ეგზამენები დამთავრდა** დედათა ინსტიტუტში. წელს სწავლა დაასრულა 35 ქალმა: 19 რუსია, 10 ქართველი, 5 სომეხი და ერთი თათარი. პირველის შიფრით დააჯილდოვეს გიუხარ გაიუბოვისა, მეორეთი—მარიამ ანთაძე. ქართველების გვარები: ანთაძე მარიამ, ყუბანეიშვილი ლიდა, ელიაშვილი ნინა, ჩოლოყაშვილი ნინა, ყარანგოზიშვილი მარიამ, ბასიშვილი ეკატერინე, ჩხეიძე ეკატერინე, გაბაშვილი თამარ, ჩერქეზიშვილი ელენე და ხელაძე ოლგა.

✦ 28 მაისს დასრულდა ეგზამენები ტფილისის **მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის** მეექვსე კლასში. დაწვრილებით ცნობებს სემინარიაში სწავლა დასრულებულთა შესახებ ხვალ დავბეჭდავთ.

✦ 24 მაისს **ეგზამენები დასრულდა** ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში. წელს სწავლა 6 მოსწავლემ დაამთავრა: ოთხმა ქალმა და ორმა ვაჟმა. ეს სასწავლებელი მალე ახალ შენობაში გადავა, გრიბოედოვის ქუჩაზე. მოსწავლეთა მიღება დაიწყება 25 აგვისტოს. სწავლის ფასი შეუმცირებიათ: აქამდე 150 მანეთი იყო, ამიერიდან 120 მანეთი იქმნება.

✦ ტფილისის მართლმადიდებელ სასულიერო სემინარიის პირველს კლასში **მისაღები ეგზამენები** დაიწყო ოთხშაბათს, 28 მაისს, და გასტანს 4 ივნისამდე.

✦ 28 მაისისთვის დანიშნული კრება ტფილისის **ბავშთა სამზრუნველო საზოგადოებისა** არ შესდგა, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. კრება 4 ივნისისათვის დაინიშნა.

✦ მიწათ-მოქმედების **რწმუნებული ბ-ნი მედვედევი** უკვე წამოსულა პეტერბურგიდან.

✦ ხვალისთვის დანიშნულია კრება ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულებისა.** სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს ამ წლის შემოსავლისა და ხარჯის სავარაუდო აღრიცხვა. კრება სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება, საღამოს 7 საათზე.

✦ **წელს ქუთაისის ქალ-კლასიკურ სასწავლებლის საპედაგოგიო კურსები გაათავა 15 მოსწავლემ. აქედან 8 ქართველია, 3 ბერძენი, ორი რუსი და ორიც სომეხი. ხუთს აზრადა აქვს სწავლა განაგრძოს ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში.**

✦ **რადგან ტფილისის სასაკლაოში საქონლის კვლა ზედმეტობით შემცირდება ხოლმე, გუშინ ტფილისის ბეითლებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, თითო თვით დასვენების ნება მისცეს იმათ.**

✦ მუხრანსკის ქუჩაზე, სპარსეთის ქვეშევრდომს ვაჭარს მაშადი-რიზა-ჰაჯი-მაჰმედ-ჰუსეინ-ოღლის საღამოთი დაუკეტია თავისი მაღაზია და წასულა შინ. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც საქმისათვის მაღაზიაშივე დაბრუნებულა და უნახავს, რომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მაღაზიის ფანჯარა ჩაუტეხია. როცა ჩაუხედია, შეუნიშნავს სანთლის შუქზე, რომ ვიღაც მაღაზიაში დაფათურობდა. მაღაზიის პატრონს პოლიციელებისათვის დაუძახნია, გაუღიათ მაღაზია და დაუჭერიათ ქურდი თედორე ზუევი, რომელიც მაღაზიაში დამალულა იმის დაკეტვამდე.

✦ ქალაქის მაწანწალა ძაღლების დამჭერმა მოიჯარადრემ შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ მაწანწალა ძაღლების ჭერას შეუდგება პოლიციის მე-8 ნაწილში 2 და 3 ივნისს; მე-9 ნაწილში—5, 6, 7 და 9 ივნისს; და პოლიციის მე-6 ნაწილში—10 და 11 ივნისსო.

✦ გუშინ-წინ პოლიციის მე-2 ნაწილში თავ. ნიკოლოზ აბა-მელიქოვს განუცხადებია, რომ ჩემის დის ელისაბედ ჯაყელის პეტერბურგში ყოფნით უსარგებლნია ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ, გაუტეხიათ იმისი სახლი გრიბოედოვის ქუჩაზე და გაუტანიათ სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები, სულ 300 მან. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

რუსეთის ქრონიკა

✦ იმ კომისიის სხდომები, რომელსაც საშუალო სკოლის რეფორმის საქმე აქვს მინდობილი, 28 მაისს შესწყდა დროებით. როგორც ვუწყით, კომისიამ საბოლოოდ შეიმუშავა სამი ტიპი საშუალო სკოლისა: პირველი—ერთის ძველის ენით, მეორე ორის ენით, ხოლო მესამე—ექვს კლასიანი სკოლა. დაწვრილებით კომისიამ უფრო ამ ექვს-კლასიან სკოლის პროექტი შეიმუშავა. ამ სკოლაში არც ერთი ძველი და ახალი ენა არ იქნება. ამის ნაცვლად შემოიღებენ ახალ საგნების სწავლებას: ბუნების მეტყველებას, კანონთა-მეტყველებასა და სამშობლოს-მეტყველებას.

✦ უწ. სინოდის ობერ-პროკურორმა ბრძანება მოახდინა, რომ სასულიერო სემინარიებმა და სასწავლებლებმა ყოველთვის გაუგზავნონ ხოლმე ცნობები იმ მოსწავლეთა შესახებ, რომელთაც ცუდის ყოფაქცევისათვის დაითხოვენ.

✦ ყირიმში იალტიდან სიმფეროპოლამდე ჰფიქრობენ რკინის გზის გაყვანას. საჭირო გამოკვლევის მოსახდენად ყირიმში უკვე წასულა ინჟენერი ქ-ნი რ. ო. კანევსკისა. კანევსკისა პირველი ინჟენერი-ქალია რუსეთში. განათლება ამ ქალმა პარიზში მიიღო. ყირიმში წასვლამდე ინჟენერი ქალი მთავრობას გამოეცხადა პეტერბურგში. ამ სამუშაოებზე კანევსკისა რკინის გზის უმაღლესმა მთავრობამ დანიშნა.

✦ ქალთა შორის პროფესიონულ განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას ნება მიეცა მოაწყოს პეტერბურგში კურსები ფირმებისთვის განათლებულ კორესპონდენტების მოსამზადებლად. კურსებზე უნდა ასწავლონ ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენები. 16 წლისაზე უმცროსებს კურსებზე შესვლა არ შეეძლებათ. სწავლა სექტემბრიდან მაისამდე იქმნება. კურსი ორის წლისაა. წელიწადში სწავლის ფასი 50 მან.

შამოკრბიგნენ ფშავლები,
როგორც ბატონსა უმანია.
„შენ აქ არ მოგესვლებოდა —
დიდი გქონ ცოდვა-ბრალია,
„დასწვი, დასდაგე ხოშარა,
ცამდე ასუში ალია“.
დამაცათ, ფშავლის შვილებო,
მალოცეთ თქვენი ჯვარის.
სახვეწრად მომიყვანია
თეთრი—ქორაა ხარია ***) და სხვ. და სხვ.

სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ და მოკლედ მოვჭრათ, თუშებს ამ დღიდან ედებათ ხარკი და ბეგარა ლაშარის ჯვარისა. ხალხის წარმოდგენა ისე სჯერის და ჰკერავს: იმას ჰგონია, როგორც მიწიერს ბატონს,—ადამიანს აქვს ენება-ნდომანი, ისე ხატსა აქვს და ამიტომ ნავთიერს საშუალებას მიჰმართავს მის დასაკმაყოფილებლად და მოსამადლიერებლად.

ყველა, ვისაც-კი ფშავის დამორჩილება ედვა გულში, როგორც სხვა და სხვა ზეპირ-გადმოცემა გვეუბნება, ბრძოლას უსათუოდ თავ და პირველად ლაშარის ჯვართან იწყებს. ასე მოიქცა ზურაბ ერისთავი; იმან განიზრახა ხატის შემუსვრა, მაშასადამე უმთავრეს მოწინააღმდეგე ძალად იმას ლაშარის ჯვარი მიაჩნდა, რისთვისაც მოსჭრა დიდი მუხა, რომელსაც ჰქონდა კენწეროზე „ციდან მოსული ოქროს ჯაჭვი ანგელოზების ასასვლელ-ჩამოსასვლელად“. არც კარგად დაუჯდა ზურაბს ასეთი თავ-ხედობა, წყევლა-კრულვის მეტი იმას არაფერი დაჰრჩა და თვით მისი მისწრაფება ფშავ-ხევსურეთში ბატონ-ყმობის დამყარებისა ქარმა და წყალმა წაიღო.

ესევე მოიქცა შაჰ-აბაზი, თუმცა იმას, როგორც ძველი თქმულება გვეუბნება, გარდა ფშავის დაპყრობისა ის ფიქრიც ჰქონია, როგორმე ლაშარის ჯვარში დაცული სიმდიდრე ხელში ჩაეგდო. ერთს თავის ქვეშევრდომს ხანს ჩააბარა დიდ-ძალი ჯარი და გამოგზავნა ლაშარის ჯვარის დასარბევად. ფშავ-ხევსურნიც, უკაცრავად, ხელცარიელნი არ შეჰრჩნენ: ვიწრო არაგვის გასავალში, ეგრედ წოდებულ ნაწვეთაში, შეუკრეს გზა თათრის ბრბოს და მთლად მოსრეს. ორის კვირის განმავლობაში არაგვის წყალი არ დაილეოდაო, ამბობს თქმულება. მაგრამ რაც ვერ შესძლეს შაჰ-აბაზებმა და სხვა ბარბაროსებმა, ის ჩვენ შევიძელით: ჩვენის ეკკლესიის მსახურთ გაჰკრეს-გამოჰკრეს ბრჭალები და თუ სრულიად არა, საკმაოდ მაინც შეამცირეს ლაშარის-ჯვარისა და სხვა ხატების თას-განძები... დღეს რომ ვინმე მეცნიერმა, სამეცნიერო ფიქრით და წადილით აღჭურვილმა, მოინდომოს ამ ნივთების ნახვა, ძნელად თუ ეღირსოს, რადგან დასტურ ხევის ბერნი გაფთხილდნენ და, ვინ უწყის, სად რა ადგილას ჰმალვენ და ჰსჩქმალავენ ხატების „ზინათს“.

გარდა მოძრავისა უძრავი ქონებაცა აქვს ლაშარის ჯვარს, სახელდობრ ზვარი სოფ. ახმეტაში. ამ ზვარის ღვინო ხევის ბერებს და დასტურებს მოაქვთ დღეობაში და მლოცავებს უმასპინძლდებიან. წინანდელ დროში დიდის ამბით იწყებოდა ლაშარისჯვრის დღესასწაული: ერთის თვის წინად, ვიდრე დღეობა დაიწყებოდა, დასტურნი და ხევის ბერნი დაატარებდნენ დროშას ფშავ-ხევსურეთსა, თუშეთში, გუდამაყარში და ყველა სწირავდა რამდენსაც მოისურვებდა; შემოწირული თეთრი ჰხმარდებოდა ლაშარის ჯვარის ზვარს და სხვა ხატის საჭიროებას. დღეს ეს ჩვეულება თითქმის მოისპო პოლიციის წყალობით. თვით მოძღვარნიც სდევნიან ხევის ბერებს, მათი გავლენა ხალხზე არაფრად ეპრიან-ეპიტნავებათ; არაფრად მოსწონთ აგრეთვე იმათი ხატობები, ანუ „ჯორობეები“, როგორც თვით ფშაველები ამბობენ; თუმცა-კი შემოსავალზე ფხიზლად უჭირავთ თვალი. ამ ხატობების შემოსავალს სხვებიც ეპატრონებიან. არ ვიცი, არ გამიგია და დღევანდლამდის ვერც შემიგნია ეს ასე რად ხდება?! ფშავლების სალოცავებს საკერპოებს ეძახიან, ხოლო შემოსავალს კი ამ საკერპოებიდან ორის ხელით ებღაუჭებიან... როგორ გგონიათ, ამ დღეობებში რა შემოსავალი უნდა იყოს? შეწირულ ფულის გარდა საქონლის—ცხვრისა და კურატების ტყავებია; საქონელი არა მარტო ლაშარობას, არამედ სხვა ხატობებშიაც აუარებელი იხოცება; მლოცავი გამოჩნდება იმისთანა, რომ ოთხი და ხუთი სული ცხვარი მიჰყავს... დიაღ, საკვირველია, ჩემის ცხვრის ტყავთან ან ხვა ვისმე რა ხელი უნდა ჰქონდეს?! ასეა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ პატრონს არავინ ჰკითხავს, თუმცა კი ხალხს რომ თავი გამოედვა, ამ დღეობების შემოსავლიდან საკუთარს ბანკსაც დაიარსებდა, ნუ ვიტყვით სკოლებს ან სხვა რაიმე სასარგებლო დაწესებულებას, საქმეს.

თუმცა ფშავლებს შესაწირავი ლაშარის ჯვარში და, საერთოდ, თავის „ხატებში“—სალოცავებში, უხვად მიაქვთ, მაგრამ თვით ხატში ვედრება და ლოცვა ფრიად მარტივია. ქართველი ერი არ არის საზოგადოდ ფანატიკოსი და მისი ღვთის ვედრება არას დროს არ ეკუთვნის იმ ჯურის ვედრებას და ღვთის მსახურებას, როგორც ჩვენ მაჰმადიანთა შორის ვხედავთ. ერთის მხრით სანუგეშოცაა ასეთი სიმარტივე ლოცვისა, რომ იგი სხვა მხრით არა სახიჩრდებოდეს. თუ მაჰმადიანნი ტანსა, პირს, საერთოდ, სხეულს ისახიჩრებენ ვედრების დროს (შახსეი-ვახსეი), ჩვენი ხალხი—გონებასა და

***) იხ. ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ.

◆ ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ „გრაჟდანინ“-ის რედაქტორს თავ. მეშჩერსკის. ეს თავადი 6 მაისიდან შეუდგა „სახალხო“ გაზეთის გამოცემას; გაზეთს სახელად ჰქვიან „Дружескія рѣчи“. წელიწადში ეს გაზეთი ეღირება ერთ მანეთად. აი, ამ გაზეთის შესახებ ფინანსთა სამინისტროს სამრეწველო განყოფილებამ შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნა საქარხნო ინსპექციას: „6 მაისიდან გამოდის იაფ-ფასიანი გაზეთი „Друж. р.“ თავ. ვ. ნ. მეშჩერსკის რედაქტორობით. გიგზავნით ერთ ნომერს, რათა თქვენს კანტორაში გამოჰკიდოთ და გააცნოთ ქარხნის პატრონებსა და მუშებს. ამავე აზრით შემდეგშიაც გამოგეგზავნებათ ეს ჟურნალი. ამასთან უნდა გაცნობოთ ისიც, რომ მისი მაღალ აღმატებულება ბ-ნი ფინანსთა მინისტრი თანაგრძნობით უყურებს ჟურნალს“. თავ. მეშჩერსკიმ ეს არ იკმარა და, როგორც „სამ. გაზ.“ გადმოგვცემს, თავისით ცირკულიარი გაუგზავნა საერობო უფროსებს. ამ ცირკულიარში თავადი სთხოვს პოლიციას დახმარება აღმოუჩინონ გაზეთის გავრცელებაში და ეცადნენ, რომ გლეხებმა გამოიწერონ იგი.

◆ შემდეგ საოცარ ამბავს გადმოგვცემს „ამურ. კრ.“: „კაცთ-მჭამლობას ჯერ კიდევ არ მოჰშლებია ბოლო რუსეთში. სახალინში დააპატიმრეს ორი მაწანწალა, რომელთაც აბგებში კაცის ხორცის ნაჭრები უნახეს. გამოტყდნენ, რომ ხორცს სჭამდნენ; მაგრამ ამასთან განაცხადეს, რომ კაცი არ მოგვიკლავს, მკვდარი კაცის გვამი ვნახეთ და იმას ამოვჭერით ხორციო. ორივე მაწანწალა დააპატიმრეს. ორივე კავკასიელია“.

პრესსა

მოსკოვში არსებობს სატეხნიკო საზოგადოება. კარგა ხანია ამ საზოგადოებამ განიზრახა მთელს რუსეთში ცნობების შეკრება იმ პირობათა შესახებ, რომელშიაც სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების მოსამსახურენი იმყოფებიან. ამ საზოგადოებას, სხვათა შორის, აზრადა აქვს ნოქართა კრებაც მოახდინოს მოსკოვში. 1898 წელს საზოგადოებამ შეიმუშავა საპასუხო ფურცლები და გაუგზავნა სხვა-და-სხვა ქალაქის ნოქართა საზოგადოებას. სულ ასეთი ფურცლები გაეგზავნა 25 ქალაქის ნოქრებს. საზოგადოებას უკვე მიუღია პასუხი 3,141 ნოქრისაგან. აქედან 1360 ნოქარი მოსკოველია. საინტერესოა ცნობები ამ ნოქრების შესახებ. ამ მოსკოველ ნოქრებ შორის 225 უცოლო ყოფილა, 1,091 ცოლიანი და 44 ქვრივი. უმრავლესობა 30—45 წლისაა. ძალიან ცოტაა 50—60 წლისა. მოქალაქე (მეშჩანი) ყოფილა 889, გლეხი—222, საპატიო მოქალაქე—119, ვაჭარი—36. უმაღლესი განათლება მიუღია 28, საშუალო—231, დაბალი—764, შინაური განათლება—337. ფრანგული ენა სცოდნია 134 კაცს, გერმანული 177, ინგლისური—51 და სხვა. სხვათა შორის, 20 კაცს სომხური ენა სცოდნია. ამ ნოქრების უმცირესი ჯამაგირი ყოფილა 720 მანეთი, უდიდესი—1900 მ., უმრავლესობას-კი 900 მანეთი აქვს. ფურცლებში სამუშაო დროც არის აღნიშნული. უდიდესი სამუშაო დრო 16 საათია, უმცირესი—9 საათი. ყველაზე მეტი მუშაობა ყოფილა საკონდიტეროებში, საბაკალეო და საკოლონიო, თევზისა, ხორცისა და სხვა მაღაზიებში. ბევრ ნოქარს დიდხანს უხდება ადგილის ძებნა. ზოგი ერთ, ორს და სამ წელიწადს დაეძებს ადგილს.

⁂

„კიევ. გაზ.“ სწერს, რომ საერო განათლების სამინისტროს თავი ვერ აურთმევია უთვალავ შუამდგომლობისთვის, რომელიც სხვა-და სხვა ქალაქებიდან მოსდისო. თხოულობენ საშუალო სასწავლებლების დაარსებას.

> საოცრად იზრდება საშუალო განათლების მიღების სურვილი. ვინ არ იცის, ყოველ წელიწადს რამდენი ხალხი აწყდება სასწავლებლებს. იღებენ მხოლოდ ნახევარს, მესამედს, ხშირად მეოთხედს. აშკარაა, სურვილის დასაკმაყოფილებლად მრავალ სასწავლებლის დაარსებაა საჭირო. მაგრამ სამინისტროს შეძლება არა აქვს. როგორ უნდა ეშველოს საქმეს?

გაზეთის აზრით, იმ ბავშვების დედ-მამამ, რომელთა შვილებსაც ვერ იღებენ, თავიანთის ფულით პარალელური განყოფილებანი უნდა გახსნან გიმნაზიებთან. ურიგო არ იქმნება, რასაკვირველია, განყოფილებების გახსნა, მაგრამ ამ შემთხვევაში სასწავლებლებში შესვლა მხოლოდ შეძლებულთ შეეძლებათ. სხვა სახსარია საჭირო: ეს სახსარი-კი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ზოგიერთი გაზეთი, საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტის გადიდებაა ერთი ორად და სამად.

⁂

„ობრაზ.“-ში იბეჭდება ბ-ნ სატურინის წერილები საპყრობილეების ცხოვრების შესახებ. ავტორი, სხვათა შორის, სწერს:

> აწ გაბატონებული საზოგადოებრივი და ეკონომიური პირობანი არიან ის მთავარი ფაქტორები, რომელნიც ჰქმნიან ბოროტ-მოქმედებებს. ვიდრე საზოგადოებრივ და ეკონომიურ უთანასწორობის თანამედროვე პირობები არ მოისპობა, მანამდე ბოროტ-მოქმედებანი არ აღიგვებიან დედა-მიწის ზურგიდან. მაგრამ ცხოვრება თან-და-თან იცვლება. თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება მთელ დედამიწაზე დემოკრატიზაციის გზას ადგია. ამ ევოლიუციასთან ერთად მცირდება ბოროტებაც. მართალია, არის ხოლმე ხანა, როდესაც ბოროტ-მოქმედებათა რიცხვი ერთბაშად მატულობს. ასე ხდება მაშინ, როდესაც ბრძოლა არსებობისათვის მწვავდება, როდესაც, მაგალითად, შიმშილობაა, საერთაშორისო შეტაკება, სამრეწველო კრიზისი, მაგრამ ასეთი მოვლენა დროებითია.
>
> თანამედროვე წყობილების ევოლიუციის ნიშნობლივი თვისება ცოდნათა დემოკრატიზაციაა. სახალხო განათლების გაუვრცელებლად წარმოუდგენელია საერო წარმოების შემდეგ საფეხურებზე ასვლა; შეუძლებელია ძლიერი მრეწველობა, თუ მუშამ წერა-კითხვა არ იცის და ინტენსიური კულტურა—თუ გლეხმა კითხვა მაინც ვერ ისწავლა. ამიტომ საყოველთაო სახალხო განათლება ის ღერძია, რომელიც ერს წარმატებისა და კეთილ დღეობისაკენ ატრიალებს. სწავლა-განათლებავე ამცირებს ბოროტ-მოქმედებას.

⁂

ბაქოს ქალაქის ახალ მოურავს ბ-ნ ნოვიკოვს ძალიან ხშირად მოსდის შეტაკება ხმოსნებთანა და გამგეობის წევრებთან. სხვათა შორის, ნოვიკოვს ემდურებიან, სხვა ადგილებიდან მოგყავს მოსამსახურეებად ხალხი და „შინაურებს“-კი უადგილოდ სტოვებო. ბ-ნი ნოვიკოვი ყოველთვის იმას ამბობს, რომ მე შინაურსა და გარეულს არ დავეძებ, მე მინდა მშრომელი, ნიჭიერი და მცოდნე მოსამსახურენიო. ეხლა ხანაც დიდი შეტაკება მოსვლიათ მოურავსა და გამგეობის წევრებს. საჭიროა ორის ტეხნიკოსის დაქირავება. ნოვიკოვსა და უფროს ინჟენერს უნდათ სხვა ქალაქებიდან დაიბარონ დახელოვნებულნი. გამგეობა-კი ორ „შინაურს“ ასახელებს, რომელნიც ყველას მოწმობით გამოუსადეგარნი არიან. ამ ტეხნიკოსების თაობაზე ერთ კრებაზე, როგორც „ბაკ. იზვ.“ გადმოგვცემს, შემდეგი შეტაკება მოსვლიათ ნოვიკოვსა და ხმ. ხატისოვს.

ა. ი. ნოვიკოვი. უპირატესობა, რასაკვირველია, ადგილობრივ კაცს უნდა მიეცეს, თუ მთხოვნელნი ერთნაირის ღირსებისანი არიან. მაგრამ ადგილობრივი ინჟენერები, გამოცდილნი და დახელოვნებულნი, როდესაც 500 მანეთს მეტს აძლევენ, ქალაქს სტოვებენ და ნავთის წარმოებაში გადადიან.

ხმ. ხატისოვი. კანა ცუდია მერე ეგა? მეცა და თქვენც ოცი ათასი მეტი რომ მოგვცენ, სხვა სამსახურში გადავალთ.

ა. ი. ნოვიკოვი (ცხარედ). თქვენის ადლით ნუ ჰზომავთ ყველას! მე საქმეს 8 ათას მანეთისთვის არ ვემსახურები და გარწმუნებთ, 20 ათასი კი არა, 100 ათასიც რომ მომცენ, არ გავანებებ თავს იმ საქმეს, რომლისთვისაც სარგებლობა მომაქვს.

ხმ. ხატისოვი: მე-კი გავანებებ! მაპატიეთ, მაგრამ ყველანი ასეთები ვართ. მე უბრალო კაცი ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის კაცი, რომელიც თავის კეთილ-დღეობაზე ხელს იღებს,—გთხოვთ მაპატიოთ ამ სიტყვისთვის—ჩერჩეტია (ბოლვანი).

ა. ი. ნოვიკოვი. მე მინდა თქვენ თვალში ჩერჩეტი ვიყო. ჩემთვის ეგ კომპლიმენტია! (სიცილი).

მეტი არ იქნება მკითხველმა იცოდეს, რომ ეს ხატისოვი ის არის, რომელიც ტფილისში სოლოლაკის გორის ქვეშ გვირაბის გათხრას აპირებს, რასაკვირველია, ტფილისელთა საკეთილდღეოდ...

დაბა-სოფლები

ხიზაბავრა (ჯავახეთი). 1882 წლიდან აქ არსებობს ერთ-კლასიანი სკოლა, რომელიც ორ კლასიანად ჰსურთ ახლა გადააკეთონ. ხაზინის დახმარებით ახალი შენობა აგეს, რომელსაც ორ კვირაში სრულიად დაამთავრებენ. სკოლაზე 3,000 მან. იხარჯება. ამ მომავალ წლიდან არსებენ ქალებისთვის ხელსაქმის სკოლას, რისთვისაც ახალი შენობა კეთდება. დღეს-ხვალ საძირკველსაც ჩასჭრიან. სტ. ზუბალაშვილს 1000 მან. შეუწირავს შენობის ასაგებად. განზრახული აქვთ სამეურნეო განყოფილების დაარსება სკოლასთან და მასთანავე სამკითხველოსიც. აგერ სამი-ოთხი წელიწადი იქნება, რომ მკვიდრთ ღვინო სულ არ უნახავთ, რადგანაც ვენახს ხან სეტყვა უნადგურებთ, ხან უდროო დროს ყინვა ახდენს და სხ. წრეულს ძალიან ასხია ვენახს, მაგრამ მკვიდრთ იმედი არა აქვთ, ისე შეშინებულნი არიან. ნათესს აქვთ ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, წვიმა თავის დროზე მოდის.

შვიდიოდე კომლი აქედან გადადის სოფ. აბში, ახალციხიდან ორ ვერსზე, საიდანაც ამ ენკენისთვეში მკვიდრი მაჰმადიანნი ოსმალეთში მიდიან და თავიანთ კარ-მიდამო ხიზაბავრელებს მიჰყიდეს. ხიზაბავრა ისე გაშენდა და გამრავლდა, რომ თავიანთ ადგილის მოსავალი აღარ ჰყოფნით. დღეს 180 კომლია.

მესხი კ. გვარამაძე.

სასამართლო

ქურდი პოლიციელი

გუშინ, 29 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის პოლიციის „გოროდოვოის“ ნამყოფის ფრანც მილიუსისა, რომელსაც ქურდობა ჰბრალდებოდა. 24 იანვარს პოლიციის მე-9 ნაწილის ბოქაულის თანაშემწეს ტურიგოვს გაუსინჯავს ირინე კლენოვის ნაცნობის პოლიციის მოხელედ ნამყოფის ფრანც მილიუსის სახლი, რადგან ეჭვი მიუტანიათ, რომ კლენოვისათვის ნივთები უნდა მოეპარა. გაჩხრეკის დროს ბოქაულის თანაშემწეს აღმოუჩენია ერთი ოქროს საათი ქალისა, ღირებული 80 მან. მილიუსს უთქვამს, ეს საათი უცნობის კაცისაგან ვიყიდე 50 მანეთადაო. რადგან ვერ შეუტყვიათ, ვისი უნდოდა საათი, პოლიციას მიუმართავს ცენტრალის მაღაზიისთვის, საიდაც აღმოჩნდა, რომ ეს საათი ორჯერ შესაკეთებლად მიუცია მაღაზიაში კუკიის ნიკოლოზის ეკლესიის დეკანოზს ეგენი ზვერევს. გამოირკვა შემდეგი: შარშან იანვარში ალექსანდრეს ქუჩაზე ოსტროგორსკის სახლს გაჩენია ცეცხლი. რადგან შესაძლებელი იყო, რომ ცეცხლი გადასულიყო ოსტროგორსკის მეზობლად მდგომ სახლზე, სადაც დეკანოზი ზვერევი სცხოვრობდა, მილიუსს ნაშუაღამევს 2 საათზე გაუღვიძებია იმისი სახლობა და გაუფრთხილებია დაეცალათ სახლი. მილიუსის დახმარებით სახლიდან გამოუზიდავთ ეზოში ნივთები და იქ დაუყრიათ. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ ოქროს საათი სადღაც დაიკარგა. გამოძიებას შესდგომიან და, სხვათა შორის, მილიუსის სახლიც გაუჩხრეკიათ, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩენიათ. მხოლოდ მეორედ გაჩხრეკის დროს ნახეს საათი. ამისთვის იგი სამსახურიდან დაუთხოვნიათ და სამართალში მიუციათ.

გუშინ ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო მილიუსი და გადაუწყვიტა უფლებისაგან განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $2^{1}/_{2}$ წლით გაგზავნა.

სულიერს ძალას ასუსტებს, ასნეულებს. რადაო, იკითხავთ.—იმიტომ, რომ მლოცავი რაკი სამსხვერპლო ზვარაკს მიიყვანს, რამდენჯერმე მუხლს მოიყრის პირ-ხატისაკენ, გადასცემს საკლავს ხევის ბერებს, რომელნიც დაჰკლავენ ზვარაკს, თავის კუთვნილს კერძს აიღებენ და დანარჩენს პატრონს აძლევენ. ესეც ამიერიდან სხვა მლოცავებთან ერთად მარტო ქეიფს უნდება; დროს მხოლოდ ლოთობაში ატარებს. დიაცნი მამა კაცთათვის სანოვაგის მომზადებას და მორთმევას ანდომებენ მთელს დროს. ვგონებ, მოგეხსენებათ, რომ მხევალთ არა აქვთ ნება მივიდნენ იმ ადგილას, სადაც მსხვერპლი იწირების, ე. ი. სადაც საკლავებსა ჰხოცავენ დასტურ—ხევის ბერნი. დიაც, არა აქვს ნება, ამიტომ ისინი ქადა-პურებს, სანთელ-საკმელს და სხვ. მამა-კაცთა ხელით უგზავნიან ხევისბერებს.

ხატების ლოცვა-ვედრების საქმეში დიდი ძალა აქვთ მკითხავებს ყოველ გვარ უბედურს შემთხვევის დროს: სისნეულისა, კაცით და საქონლით ზარალისა და სხვა-და სხვა. ფშაველი მიზეზად ხატსა ჰგულობს. ხოლო რომელ ხატისაგან დაემართა ზარალი, ეს მკითხავმა უნდა გაიგოს. მკითხავებმაც კარგად იციან ეს. ფშავლები თორმეტ თემად ითვლება. ყველა სათემო ხატები კარგად უწყიან. შეიძლება მკითხვინებელს „გამოუვიდეს მიზეზი“ არა მარტო მამის სალოცავისა, არამედ „დედი ძმათ ხატისა“, ან ცოლეურთ სალოცავისა. მკითხავი შემდეგში უბედურების ასაცდენად, ხატის გულის მოსაგებად შეუკვეთს რამდენსამე სულს საკლავს, ცხვარს ან კურატს. მსხვერპლად უნდა უსათუოდ სისხლიანი საქონელი შეეწიროს. უეჭველად ხატის სასიამოვნოდ უნდა საქონლის სისხლი დაიქცეს. აქედან აშკარაა, რომ სისხლს ძალა აქვს (კულტი სისხლისა). სისხლი, ვითა აიაზმა, უნდა ესხუროს თასებს, სახატო ავეჯეულობას. ხევის-ბერმა უნდა ხელ-მხარი „გაინათლოს“ სისხლითვე. მუდამ წელიწადს ჯერ თითონ უნდა დაკლას საკუთარი საკლავი ხატში და იმისი სისხლი მოიცხოს ხელებზე, შუბლზე. ამ ჩვეულებას ეწოდება „ხელ-მხრის განათლება“. როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, სისხლს რაკი ეს ძალა აქვს, უეჭველად, მოვალენი ვართ ვიფიქროთ, რომ თვით ჩვეულება მთიელთა შორის „სისხლის აღებისა, ანუ სისხლის ძიებისა, სამღვთო მოვალეობად-ჩასათვლელია. თუმცა სისხლის ამღებს ჰგონია—მოვკალი ჩემის ნათესავის მკვლელი და ამით იგი დავუმონე, ყმად გაუხადე ჩემს ნათესავს, რათა მან საიქიოს წყალი უზიდოს მას, ჯლანი (ბანდული, სუჩა) გაუბანდოსო და სხვა, მაგრამ ის კი აღარ აქვს შეგნებული, რომ ამავე დროს სამღვთო მოვალეობასაც ასრულებს სისხლის დაქცევით.

ადამიანი ამ შემთხვევაში ხდება ხატად და მას ზვარაკად, მსხვერპლად ადამიანი ეწირება... საყურადღებო ამბავია... ფშაური ჩვეულება სისხლით განწმენდისა ძველ ებრაულს ჩვეულებას მოგვაგონებს. როგორც ვუწყით, ღმერთმა, როგორც ძველი აღთქმა გვასწავებს, ეგვიპტიდან ისრაილების გამოსვლის წინად ასწავლა, რომ ყველას თითო უზადო საკლავი გამოერჩია ფარიდან, დაეკლა და იმისი სისხლი წაეცხო ზღურბლზე და კარების ჩარჩოებზე. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ იქ სცხოვრობდა ისრაილთაგანი, ღმერთიც გზას აუქცევდა და არაფერს ზარალს დაატეხდა თავზე, როგორც ეგვიპტელებს დაჰმართა. ამ ბატკნების ხორცი უნდა ეჭამათ ხმიადად გამომცხვარ პურთან. ესევე ჩვეულება დღეს წმინდად არის დაცული ფშავშიაც. ხატობებში მხოლოდ ხმიადსა სჭამენ მლოცველნი, გაფუებულს პურს აქ არავინ მოიტანს.

სამსხვერპლო ადგილი შემოზღუდულია გალავნით და ამ გალავნის შიგნით, იმის მიდამოებში ყოველი ხე, თუ ქვა წმინდა ხელშეუხებელ საგნად ითვლება, ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ერთის ხატის ნიშის წაღება უცხო, სხვა ადგილას, ხომ ყოვლად შეუძლებელი, მოუხერხებელი იქნებოდა. უბრალო ლოდი, ქვა წმინდა ადგილას ყოფნისა და მდებარეობის გამო სიწმინდეს ითვისებს, ხატის ძალას იჩენსო. ავაზაკი, ანუ სოფლისა, თემისაგან სასიკვდილოდ, ჩასაქოლავად მიჩნეული ადამიანი, როცა ხატის მიდამოს თავს მოაფარებს, ხელ-შეუხებელი ხდება, თითქო ცოდვებისაგან თავისუფლდება და ცოტა რაიმე სიწმინდეს იძენს ხატთან ახლო ყოფნით. სხვა გზით არ შეიძლიან მწევრის საფლავის სათაყვანო საგნად გარდაქმნა. სად არის, ან რა არის ეს მწევრის საფლავი? მწევრის საფლავი გახლავთ ხახმატის სალოცავში, ხევსურეთში. ხახმატის ჯვარს არა მარტო ხევსურნი, არამედ ფშავლები და თუშებიც გულმოდგინედ ლოცულობენ. ერთს ვისმე ქართველ მეფის ძეთაგანს, როგორც ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, უცხოვრია ხევსურეთში, ჰყოლია მწევარი. მოჰკლომია და ამ სალოცავში დაუმარხვინებია. დაერქვა მწევრის საფლავი და გახდა ერთგვარი სალოცავი. ამ სტრიქონების დამწერი ბევრჯელ დაჰსწრებია იმ ამბავს, როცა ფშავლები და ხევსურები მის საფლავზე ციკნებს ჰხოცავდნენ და არა ბატკნებს, რადგან მწევარი, როგორც „უსურმაგიო“, ამბობენ ისინი, ბატკნის ღირსი არ არისო. ციკანი თხის ნაშობია, ხოლო თხა ეშმაკის გაჩენილიაო. და განა მარტო თხა? უკაცრავად კი ნუ ვიქნები და თვით ევას ჩამომავალთაც ფშავ ხევსურნი ეშმაკის ნამოქმედარს უწოდებენ. ასეა თუ ისე, ხალხსა სწამს, რომ მწევრის სულს შეუძლიან თავის თაყვანის მცემელს გაუმრავლოს საუკეთესო ჯიშის ცხენის ჯოგი, იყოს იმისი მფარველი და ამცილებელი ყოველ გვარის ზარალისა.

გაუხ-ფშაველა

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 მაისი.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში ხაზინის ლორდმა (ფინანსთა მინისტრმა) რიჩიმ განაცხადა: მთავრობა საჭიროდ სთვლის სავაჭრო ბაჟის საქმე განიხილოს; ძლიერ გაკვირვებული დავრჩები, თუ განხილვა ამნაირ პოლიტიკის განსახორციელებლად პრაქტიკულ საშუალებას აღმოაჩენს; დარწმუნებული ფრიტრედერი (ვაჭრობის თავისუფლების მომხრე) ვარ და დიდ-ბრიტანიისა და კოლონიების ინტერესებისათვის მავნებელ პოლიტიკას ვერ დავეთანხმები.

პარიჟი. პარიჟის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე და დეპუტატები, პეტერბურგიდან დაბრუნებულნი, ამბობენ, იქაურმა მიღებამ და შესანიშნავმა დღესასწაულმა აღტაცებაში მოგვიყვანაო.

ვარშავა. საიუბილეო საუზმის დროს, ველიკოპოლსკიმ პოლკის ავგუსტოს შეფის, იტალიის მეფისაგან შემდეგის შინაარსის დეპეშა მოვიდა: „სალამს ვუძღვნი ჩემს პოლკს; სულითა და გულით მონაწილეობას ვიღებ დღევანდელ დღესასწაულში. დარწმუნებული ვარ, პოლკი თავის ავგუსტოს წინამძღოლისაგან ძღვნად ნაბოძებ შტანდარტისათვისაც იმავ ჯილდოს დაიმსახურებს, როგორიც აიმშვენებდა პოლკის ძველ შტანდარტს. მადლობელი ვარ იმ იტალიელ ამხანაგთა გულითადის მიღებისათვის, რომლებიც ამ ასის წლის დღესასწაულს დაესწრნენ. ვნანობ, რომ პირადად ვერ დავესწარი; გიგზავნით ჩემს სურათს. ყველა თქვენთან ერთად ვსვამ თქვენის სათაყვანებელ მონარქის, ჩემის მეგობრის, და მის უდიდებულესობის დედოფლის სადღეგრძელოს. ღმერთმა აღდეგრძელოს მთელი სამეფო გვარეულობა და დიდებული, მძლავრი რუსეთის ჯარი! ვიქტორ-ემანუილი“.

ვენა. პალატამ ჩეხის რადიკალ კლოფაჩის წინადადება განიხილა. კლოფაჩმა მოსთხოვა მთავრობას, მკაფიოდ აგვიხსნათ, ავსტრო-უნგრეთი რა პოლიტიკას მისდევს ბალკანეთში და გაგვაგებინეთ, გარეშე საქმეთა მინისტრმა რატომ ბერლინის ხელ-შეკრულობა არ შეასრულებინა ოსმალეთსაო. კლოფაჩმა ძლიერ გააკრიტიკა ავსტრო-უნგრეთის პოლიტიკა ბალკანეთში. ერენტალმა უპასუხა: ყველა დიდ სახელმწიფოებს ერთნაირად ესმისთ ბერლინის ხელ-შეკრულობა და ყველანი თანახმანი არიან, რომ ავსტრო-უნგრეთის და რუსეთის შეთანხმება ბალკანეთში საერთო მოქმედების თაობაზე უმთავრესი საფუძველია ზავის განსამტკიცებლადაო. პირველი მინისტრი პროტესტს აცხადებს დინასტიისა და სამშობლოს გაკიცხვის წინააღმდეგ. პალატამ ძლიერი ტაშის ცემა ასტეხა. კლოფაჩი თხოულობდა, ჩემი წინადადება დაუყოვნებლივ წინადადებად იცანითო, მაგრამ პალატამ უარ-ყო დაუყოვნებლიობა.

სოფია. ბოლგარული გაზეთები მიხაილოვსკის ჰკიცხავენ: გუშინდელ კრებაზე მართებულად ვერ ილაპარაკა რუსეთის პოლიტიკაზეო.— ხმა, ვითომ ბუხარესტში გამწესებული ბოლგარიის სადიპლომატიო აგენტი ვენაში გადაჰყავდეთ, უსაფუძვლოა.— ამბობენ, ნაჩევიჩმა პორტას მაკედონიის საქმის გადაწყვეტის პროექტი წარუდგინაო. ამ პროექტით მაკედონიაში უფრო ფართო და ვრცელი რეფორმა უნდა მოხდეს, სანამ რუსეთ-ავსტრიის პროექტით იყო მოთხოვნილი.— ოსმალეთ-საბერძნეთის ხელ-შეკრულობის დამტკიცების თაობაზე ოქმი შეადგინეს და ხელი მოაწერეს. ოქმი დაუყოვნებლივ ძალაში შევიდა.— ხონთქარმა ბრძანება გამოსცა, რომ მუსულმანთა შორის ლოთობის გავრცელებისა და საზოგადოთ მავნე სასმელების ხმარების წინააღმდეგ ღონისძიება მიიღონ.— გრადსკოროს ახლო შეტაკება მოხდა ბოლგარების რაზმთან.

პარიჟი. ემბერები და დორონიაკები ნაფიცთა სასამართლოში მისცეს.

პეტერბურგი. ცეცხლის მქრობ საზოგადოების წევრნი, პეტერბურგში მოსულნი, სატახტო ქალაქის 12 ცეცხლის მქრობელთა რაზმის დათვალიერებას დაესწრნენ, ერმიტაჟის თეატრი ნახეს და რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურა დაათვალიერეს.

ვლოცლავსკიდან იტალიის სამხედრო დეპუტაცია მოვიდა.

დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ რუსეთის საიმპერატორო ცეცხლის მქრობ საზოგადოებას ხელმწიფე იმპერატორის შემდეგი დეპეშა აცნობა: „ვთხოვთ რუსეთის ცეცხლის მქრობ საზოგადოების მოღვაწეთ გადასცეთ ჩემი მადლობა და აგრეთვე გულწრფელი სურვილი საქმის განვითარებისა და წარმატებისა“.

28 მაისს ცარსკოე სელოში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა თანდასწრებით ნიანგის პატრიოტულ საზოგადოების სკოლის საძირკველი ჩაჰყარეს.

სიმონსტოუნი (კაპშტადის ახლო). გერმანიის სამხრეთ-პოლიუსისაკენ ნამგზავრი ექსპედიცია მოვიდა აქ. ექსპედიციას ახალი ადგილი აღმოუჩენია და სახელად „იმპერატორის მიწა“ დაურქმევია.

ვაშინგტონი. სამხრეთ-ატლანტის ოკეანეს ესკადრას რომ ბძანება ჰქონდა მიღებული, ვალპარაისოში წასულიყო, ეხლა გააუქმეს.

29 მაისი.

პეტერბურგი. გენერალ-მაიორი აიგუსტოვი დაინიშნა კიევის გუბერნატორად.— შემდეგი კონტრ-ადმირალები ინიშნებიან: შავი ზღვის ფლოტის მოსწავლე რაზმის უფროსი ზელენოი—უმცროს ფლაგმანად, გირკგოფტი—უფროსი ფლოტის შტაბის უფროსად და სტორიმი (?) შტაბის უფროსად იმ საზღვაო ძალების, რომლებიც უფროსობენ წყნარ ოკეანეში.

„პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: დაინიშნენ გენერალ-მაიორი თავ. ოდოევსკი-მასლოვი მე-10 ცხენოსან დივიზიის უფროსად; მისი უდიდებულესობის კირასირის რაზმის, მისი უდიდებულესობის ამალის ლეიბ-გვარდიის უფროსი გენერალ-მაიორი პრჟევენცოვი—მეორე გვარდიის ცხენოსან დივიზიის მეორე ბრიგადის უფროსად.

ცეტინიე. ხოტი-გრუდის მცხოვრებლები თავს დაესხნენ ოსმალთა სამზღვრის ბლოკჰაუზს, მოჰკლეს რამდენიმე ჯარის-კაცი, დასწვეს ბლოკჰაუზი და გაიქცნენ. ჩერნოგორიის მთავრობამ ითხოვა გაქცეულების პატიება და იმათი სამშობლოში დაბრუნება.

კიევი. ჟანდარმთა სამმართველოში პასუხის საგებლად მოყვანილი პოლიტიკური პატიმარი ებრაელი ქალი ფრუმინისა ჩვენების ჩამორთმევის დროს მიეჭრა ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსს გენერალ-მაიორს ნოვიცკის და კისერში მარჯვენა მხარეს დაჰკრა ხიდის დანა. ჭრილობა საშიში არ არის. შეხვევის შემდეგ გენერალმა განაგრძო თავისი საქმეები სამმართველოში.

ლონდონი. გაზეთები აღნიშნავენ კაბინეტში ჩამოვარდნილ უთანხმოებას, რომელიც იმდენად დიდია, რომ კრიზისი უფრო ძალიან გამწვავდა. ბევრი თავგამოდებული დამცველი თავისუფალ ვაჭრობის, კონსერვატიულ პარტიის მომხრენი, იმ აზრისაა, რომ კოლონიათა მინისტრს ის-და დარჩენია, რომ სამსახურიდან გადადგეს. აქამდის არც ერთს გამოჩენილს პოლიტიკურს მოღვაწეს მხარი არ დაუჭერია ჩემბერლენისათვის.

პეტერბურგის ბირჟა 27 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზი	93,90
ბერლინზე 100 მარკაზი	45,90
პარიზზე 100 ფრანკზი	37,35
ლონდონზე ჩეკები	94,70
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	5—6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა	98¹/₂ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100 ¹/₈ მყიდვ.
4¹/₂% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	95¹/₈ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	482¹/₂ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	331 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	284³/₇ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90¹/₄ „
4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	91³/₄ „
4¹/₂% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	182 გაყიდ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, რაც ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 8 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/₇₆ ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/₉₁ შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/₈ ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/₁₀ დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბარისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტერროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

ქუქიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ასტამაროვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქაანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიოსტისა.

განცხადებანი

ი. რ. გამრეკელის მამულში

ს. მუკუზანს, სიღნაღის მაზრაში,

იყიდება

თავი ღვინოები წითელი და თეთრი 1000 ვედრამდის. დაწვრილებით პირობების შესატყობად მიჰმართეთ მამულის გამგეს ს. მუკუზანში. (3—100—1)

ა გ ა რ ა კ ი

„დაკიდებული ხიდი“

აგარაკი შესდგება მიწის ნაჭრებისაგან, რომელიც შეიცავს 400 ოთხკუთხ საჟენს. არის ორ სართულიანი ქვითკირის სახლი; თითო სართულში ოთხ-ოთხი ოთახია. იძლევა ქირით თვლავს, კურდღელაურის აგარაკში. ოთახები მშრალი და ნათელია. საუცხოვო გადასახედია: მოსჩანს ალაზნის ველი და დაღესტნის მთები. პირობების შეტყობა ტერ-დავითიანცთან შეიძლება, ტფილისში, მე-5 ნაწილში, სომხეთა წმ. გიორგის ეკკლესიის გალავანში. (2—6.—1).

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—58)

გამოვიდა და იყიდება

ტფილისში: ქართველთა ამხანაგობის და წერ. კით. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიებში და **ქუთაისში:** ბ. მიტრ. ლოლიძესთან.

ქართული ანდაზები

ფრანგულად თარგმნილი

თ. სახოკიას-მიერ

ფასი ხუთი შაური (4—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზაზისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—ჰოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

აგრეთვე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღება შესაკერად ყოველგვარი ხელ-საქმე: თეთრეული, ფერადის ძაფებით შესაკერავები და **კაბები** ქალებისა და ბავშვებისათვის.

ბარონის ქუჩა, № 12. (უ. 12—9.

დაიბეჭდა და დღეიდან გაისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლ, ალ. ივ. ნათაძეს. (უ. 0—12)

ცინკოგრაფია

ტფილ. ხამოჯ. ქართველთა ამხანაგობისა

განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37¹.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 29 мая 1908 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)